

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №421

2024 წლის 25 დეკემბერი

ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 66² მუხლის მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. თუ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში გაუქმებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად განხორციელებული ოპერაცია, საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი აღნიშნული ოპერაციის გაუქმების შესახებ ინფორმაციას წარუდგენს საგადასახადო ორგანოს, რაც საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირის პირადი აღრიცხვის ბარათზე თანხის შემცირების საფუძველია.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

